უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) მსურველთა საყურადღებოდ!

სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019 - 2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, საბუთები უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის 10 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00}-და 16^{00} საათამდე ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ–ს ადმინისტრაციული კორპუსი, ოთახი N 350.

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
3. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
4. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ ფაკულტეტიდან:
5. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. სტუ–ს ბუღალტერიიდან (ოთახი N 210) ცნობა გადახდის შესახებ.

შენიშვნა: 17 თერბერვლის შემდეგ საბუთები აღარ მიიღება